შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი:

-“სამშენებლო გენგეგმა” ნახაზი მო-1;

-“სამონტაჟო სქემა” ნახაზი მო-2.

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

2. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, "მწვანე ქალაქი ლისზე". ტერიტორიას აქვს დახრილი რელიეფი. პროექტით გათვალისწინებულია მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა. შენობა წარმოადგენს 7 სართულიან ნაგებობას. სარდაფის სართულზე განთავსდება ავტოსადგომი. შენობის კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები-კოლონები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა. სახურავი ბრტყელია. 0.00=655.75მ-ს. დღეისათვის შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის კარკასი +5.87 ნიშნულამდე.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--მიწის ნაკვეთის ფართი----------8871.88მ^2;
--შენობის სიმაღლე----------30.00მ:
0.00 ნიშნულის ქვევით----------3.31მ;
0.00 ნიშნულის ზევით----------26.39მ.
--ბინების ჯამური ფართი----------5173.77მ^2;
--კომერციული ფართი----------150.73მ^2;
--ავტოსადგომის ფართი----------1033.08მ^2

3. საპროექტო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ 480, პ 6-ის მიხედვით T=11.00თვე, სადაც 1.00 –მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 477 პ19-ის და გვ 483 პ.12-ის მიხედვით T=11.00+0.50 x 10.00=16.00თვე. გვ 477 პ 16-ის მიხედვით T=16.00+0.50 x 1.50=16.75თვე. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=16.75+4.00=20.75თვე. გვ. 4 პ. 17-ის მიხედვით T=20.75x1.15=24.00თვე ანუ 2 წელი, სადაც 2.00 თვე--- მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. დარჩენილი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე მშენებლობის ხანგრძლივობა არის **22.00 თვე.**

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

3. გრუნტის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

4. რთული რელიეფის გამო და ასაშენებელი შენობის გაბარიტული ზომების გათვალისწინებით წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს კოშკური ამწე **Comansa 5LC5010-5T-**ის და ბეტონის ტუმბოების გამოყენება. კოშკური ამწე უნდა იქნას დაყენებული "D" ღერძთან /იხ. პროექტის გრაფიკული ნაწილი, ნახაზი მო-1/.

ამწის მუშაობისას უნდა მოხდეს:

-- მექანიზმის დაყენება საძირკვლის დონეზე /დაფუძნების ვარიანტი შერჩეული იქნას სამშენებლო ორგანიზაციის მიერ/;
-- ამწის ისრის შემობრუნების შეზღუდვა;
-- ამწის ურიკის მოძრაობის შეზღუდვა, ამწის მუშაობის საშიში ზონის ზომები /СНиП III-4-80 თანახმად/:
R=10.00+19.00=29.00მ,
-- ამწის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეულ სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივად განაწილება ხელით;
-- ამწის უკანა მოსაბრუნებელი ნაწილის ზომის გათვალისწინება და დამატებითი ტერიტორიის შემოღობვა დროებითი ფარებით;
-- ამწის დემონტაჟის შემდეგ სამშენებლო საწევლის /2 ცალი/ გამოყენება.

სამუშაოების რიგები და ეტაპები:

მეორე რიგი--------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მეხუთე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა +5.87 ნიშნულიდან----------**240 დღე;**
--მეექვსე ეტაპი------სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**90 დღე;**
--მეშვიდე ეტაპი------არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**180 დღე;**
--მერვე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------**75 დღე;**
ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------**75 დღე;**
--მეცხრე ეტაპი----შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ----------**120 დღე;**
--მეათე ეტაპი-------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**30 დღე**.

5. ყველა ფიზიკური სამუშაოს განხორციელება მოხდეს **საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების –"მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს** მოთხოვნათა გათვალისწინებით; ასევე **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილების - „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთოვნების შესახებ"** ტექნიკური რეგლამენტის დაცვის მიხედვით.

6. სამუშაოების დაწყებამდე დამუშავდეს **სამუშაოთა წარმოების პროექტი**.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

Comansa 5LC 5010-5T-ის ტექნიკური დახასიათება

1 ისრის მაქსიმალური შვერა----------50.00მ
2 მაქსიმალური აწევის სიმაღლე----------48.20მ
3 ტვირთამწეობა:
-მინიმალური----------1.00ტნ
-მაქსიმალური----------5.00ტნ

ТП-5 –ის ტექნიკური დახასიათება

1 ტვირთამწეობა----------500.00კგ
2 აწევის სიმაღლე----------50.00მ
3 აწევის სიჩქარე----------0.50მ/წ

Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

1	მოცულობა	160.00მ³/სთ
2	აწევის სიმაღლე	50.00მ
3	შვერა	48.10
4	შლანგის სიგრძე	4.00მ
5	მანქანის სიგრძე	13.60მ
6	დგარების შორის მანძილი	10.20მ

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

ბ/ კალენდარული გეგმა 22.0 თვე

| № ეტ | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები | დღე | თვეები | | |

LISI RESIDENTIAL C3

01.10.18.006.196, Tbilisi, Georgia

მშენებლობის ორგანიზაციის პრო ექტი

/დარჩენილი სამუშაოები/

CONSTRUCTION MANAGER Beso Tulashvili

ENGINEER Bela Gogolauri

ქ. თბილისი 2022წ

PLOT BOUNDARY ndkvelTa szzRvort



PLOT BOUNDARY ndkvelTa szzRvort



პირობითი აღნიშვნები

- -საპროექტო შენობა
- -დროებითი "ნაგებობა"
- -დროებითი ღობე
- -დროებითი ფარები
- -ამწის სამუშაო ზონა
- -ამწის საშიში ზონა

ექსპლიკაცია

1 საპროეტო შენობა
2 მშენებარე შენობა
3 კოშკური ამწე
4 დროებითი ღია სასაწყობო მოედანი
5 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
6 დროებითი კვების "ოთახი"
7 დროებითი საგარდერობო
8 დროებითი საარმატურო
9 დროებითი საყალიბე
10 დროებითი დახურული საწყობი
11 დროებითი ღობე
12 დროებითი ფარები
13 დროებითი გასაგორავებელი ჭიშკარი
14 ჰიდრანტი